



**ISFED**

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის სამართაშორისო  
საზოგადოება



**საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო**

## რეკომენდაციები პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსებისა და სხვა სარგებლის მიღების შესახებ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

ივნისი, 2018

## I. ცვლილებები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში

### პრობლემის აღწერა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა დაგვანახა, რომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით არსებობს პრობლემები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს. პრობლემური საკითხები ძირითადად უკავშირდება პარტიების დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ, ბუნდოვანი და გაუმართავია სახელმწიფო დაფინანსების გამოსათვლელი ფორმულის ზოგიერთი კომპონენტი, ასევე, არსებული რეგულაციები ქმნის არასწორ სტიმულებს ისეთი საარჩევნო ბლოკების შესაქმნელად, რომელთა ძირითადი მიზანი დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების და სხვა დაუმსახურებელი პრივილეგიების მოპოვებაა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობისას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ ეს პრობლემა დასახელდა საარჩევნო ბლოკების გაუქმების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

საარჩევნო ბლოკების არსებობას ერთი ლეგიტიმური მიზანი გააჩნია, კერძოდ, მცირე რეიტინგის პარტიებს დაეხმაროს ძალისხმევის გაერთიანებასა და საარჩევნო ბარიერის გადალახვაში. ჩვენი აზრით, საქართველოში დღეს მოქმედი რეგულაციები ამ ლეგიტიმურ მიზანთან ერთად პოლიტიკურ პარტიებს უჩენს გაუმართლებელ სტიმულებსაც, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსგან დამატებითი სარგებლის მიღებასთან. ბოლო საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები ამის თვალსაჩინო მაგალითია. ჩვენ ვხედავთ, რომ იქმნება „ხელოვნური“ საარჩევნო ბლოკები, რომელთა მეშვეობითაც ბლოკში შემავალი პარტიები, არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე პარტიებთან შედარებით, დაუმსახურებლად იღებენ ისეთ დამატებით სარგებელს, როგორცაა, საბიუჯეტო დაფინანსების მისაღებად გათვალისწინებული ფორმულის კომპონენტების მანიპულირებით დამატებითი დაფინანსების მოპოვება, უფრო მეტი უფასო სარეკლამო დროის მიღება, საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლებისთვის მეტი დაფინანსების მიღება, საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნა და სხვა. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი დაკავშირებული იყო იმასთან თუ რომელ პარტიას ეკუთვნის პარლამენტში ფრაქციის შექმნისთვის დამატებით მისაღები 300 000 ლარი. არასაკმარისი სიცხადის გამო, ცესკომ არსებული რეგულაციების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა, რის შედეგადაც პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიიღო 300 000 ლარი, მაშინ როდესაც პარტიამ ვერ გადალახა საჭირო 3%-იანი ზღურბლი, მიიღო ამომრჩეველთა ხმების 0.78% და პარლამენტში გაიყვანა მხოლოდ ერთი მაჟორიტარი დეპუტატი<sup>1</sup>. გარდა ამისა, ეს ბუნდოვანება რომც არ ყოფილიყო, მიგვაჩნია, რომ თავად ფრაქციის შექმნისთვის პარტიის დაფინანსების პრინციპიც მანკიერია. საპარლამენტო ფრაქციის შექმნა პარტიისთვის დამატებით მიღწევას არ წარმოადგენს, ის ავტომატურად უკავშირდება მის პარლამენტში შესვლას, შესაბამისად, ის არ უნდა იღებდეს ფრაქციის შექმნისთვის დამატებით დაფინანსებას. ეს დაფინანსება არ უკავშირდება ფრაქციის ხარჯების ანაზღაურებას, რადგან მისი ანაზღაურება პარლამენტის ბიუჯეტიდან ისედაც ხდება.

<sup>1</sup> <https://www.gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-ceskos-tavmjdomaris-gankargulebas-ekhmaurebian#sthash.kkdD0CUp.dpbs>

შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს არჩევნებში მონაწილე ინდივიდუალური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების უფლებრივი თანასწორობა. საარჩევნო ბლოკები უნდა იღებდნენ ზუსტად იმავე სარგებელს, რასაც იღებს არჩევნებში მონაწილე ინდივიდუალური პარტია.

### **რეკომენდაცია**

საარჩევნო ბლოკებთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკებმა უნდა მიიღონ იგივე სარგებელი, რასაც იღებენ არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე პოლიტიკური პარტიები.

ყველა სახის საბიუჯეტო, პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების ობიექტი ტექნიკურად უნდა გახდეს საარჩევნო სუბიექტი, ანუ ერთი საარჩევნო სუბიექტი. მიუხედავად იმისა ეს საარჩევნო სუბიექტი იქნება ერთი პარტია, თუ საარჩევნო ბლოკი, ის, როგორც საარჩევნო სუბიექტი მიიღებს დაფინანსების ერთ თანაბარ პორციას.

საარჩევნო სუბიექტი დაფინანსებას მიიღებს ბოლო ადგილობრივი ან/და საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. ე.წ. კომპონენტების შერევა დაშვებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ორივე არჩევნებში სუბიექტმა გადალახა 3%-იანი ბარიერი. თუმცა იმოქმედებს შემდეგი შეზღუდვები: ა) ფორმულის კომპონენტების შერევა საარჩევნო ბლოკს შეეძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა ორივე არჩევნებში ზუსტად იმავე შემადგენლობით იღებდა მონაწილეობას; ბ) თუ პარტია ერთ არჩევნებში ბლოკის შემადგენლობაში იღებდა მონაწილეობას, ხოლო მეორეში - დამოუკიდებლად, მაშინ დაფინანსების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ უკანასკნელი არჩევნების შედეგები.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში ფორმულიდან უქმდება H კომპონენტი, ანუ ფრაქციის შექმნის გამო დამატებით 300 000 ლარის მიღების შესაძლებლობა. ამასთან, საბაზო დაფინანსება (ფორმულის B კომპონენტი) ორმაგდება და 300 000-დან იზრდება 600 000-მდე, რაც აქამდე ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ პარტია/ბლოკი მოიპოვებდა 6%-იან მხარდაჭერას.

### **შემოთავაზებული ფორმულირება**

1. 30-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანაწილებლად გამოყოფილი თანხა პარტიებს გადაეცემათ ამ მუხლით დადგენილი წესით. პარტიის დაფინანსების უფლება წარმოიშობა საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვის მომდევნო დღიდან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ყველა ოქმის გამოქვეყნების მომდევნო დღიდან. პარტიის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, ამ კანონის, საქართველოს პარლამენტის არჩევნების

საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნების შედეგების საფუძველზე.“

2. 30-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი ამოღებულ იქნას.

3. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Z=B+(M*600*12)+(L*100*12)+(V*1,5)+(W*1),$$

სადაც Z არის პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა; B – საბაზო დაფინანსების ოდენობა; M – პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობა; L – პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის ზემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა; V – 200 000 ამომრჩევლამდე მიღებული ხმების ოდენობა; W – 200 000 ამომრჩევლის ზემოთ მიღებული ხმების ოდენობა.“

4. 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში არის 600 000 ლარი.“

5. 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნას.

6. 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო დაფინანსების ფორმულა პარტიამ ან საარჩევნო ბლოკმა შეიძლება გამოიყენოს უკანასკნელი საპარლამენტო და უკანასკნელი ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით შერეულად, თუ მან ორივე არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტი. ამასთან, საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში უკანასკნელი საპარლამენტო და უკანასკნელი ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით ფორმულის კომპონენტების შერევა შესაძლებელი იქნება, თუ ბლოკმა ორივე უკანასკნელ არჩევნებში ზუსტად იმავე შემადგენლობით მიიღო მონაწილეობა. ხოლო პარტია, რომელმაც ერთ არჩევნებში ბლოკის შემადგენლობაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო მეორეში დამოუკიდებლად, დაფინანსების მიღებისას შეძლებს გამოიყენოს მხოლოდ უკანასკნელი არჩევნების შედეგები.“

7. 30-ე მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნას.

8. 30-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საარჩევნო ბლოკის წესდებით განისაზღვრება ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საბაზო დაფინანსების განაწილების წესი.“

9. 30-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნების წელს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. ამ თანხის გამოყენება შეიძლება რეკლამის განსათავსებლად მხოლოდ შესაბამისი საერთო არჩევნების დანიშვნის შემდეგ არჩევნების დღემდე, ხოლო განმეორებითი კენჭისყრის, არჩევნების მეორე ტურის ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევებში – შესაბამისი კენჭისყრის დღემდე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ თანხას მიიღებენ მხოლოდ ის პარტიები,

რომელთაც ბოლო საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით წარმოეშვათ დაფინანსების მიღების უფლება. ამ პუნქტის შესაბამისად პარტიისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის გამოსაანგარიშებლად შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ ბოლო საერთო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება სამზე. თუ საარჩევნო სუბიექტი არის ბლოკი, მისი წესდებით განისაზღვრება ბლოკში შემავალ პარტიებს შორის თანხის განაწილების წესი. ამასთანავე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისთვის და საარჩევნო ბლოკისთვის (მიუხედავად ბლოკში გაერთიანებული პარტიების რაოდენობისა) განკუთვნილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს. საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15%-ისა გამოყენებული უნდა იქნეს წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები.“.

## II. ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

### პრობლემის აღწერა

2017 წლის ივლისში, საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიების მიერ წევრების დანიშვნის წესი შეიცვალა. ცვლილება მმართველი გუნდის დეპუტატების მიერ მომზადდა და ის ძალაში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შევიდა.

ცვლილების თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიების მიერ წევრების დანიშვნა დამოკიდებული გახდა პარტიის მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობაზე ნაცვლად მანამდე არსებული წესისა, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშვნა დამოკიდებული იყო პარტიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაზე და პარტია საარჩევნო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთ წევრს ნიშნავდა. ცვლილებების შემდეგ კი, პარტიას შეუძლია ერთზე მეტი წევრი დანიშნოს საარჩევნო ადმინისტრაციაში, რაც, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს მრავალპარტიულ წარმომადგენლობას საარჩევნო კომისიებში. მაგალითად, თუ ცვლილებებამდე მოქმედი წესის თანახმად, პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან მმართველ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ერთი წევრი ჰყავდა, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ მას 6 წევრიდან სამი წევრი ჰყავს.

კანონპროექტის ავტორების განმარტებით, ცვლილება მიზნად ისახავდა საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც სტაბილური ინსტიტუციის, საქმიანობის გაუმჯობესებას. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ცვლილებები მეტად პრობლემურია როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის შენარჩუნების კუთხით, ისე პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან ის ცალსახად ემსახურება საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის პოზიციების განმტკიცებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოება და ექსპერტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე, დიდი ხანია ვსაუბრობთ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის ცვლილებების საჭიროებაზე, რათა ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუტი მეტად იყოს დაცული არასათანადო პოლიტიკური გავლენებისაგან და დაეფუძნოს წევრთა პროფესიულ კომპეტენციასა და დამოუკიდებლობას.<sup>2</sup> ნაცვლად ძირეული

<sup>2</sup> [https://gyla.ge/files/rekomendaciebi%20saarCevno%20garemos%20gaumjobesebasTan%20dakavSirebiT\\_ge.pdf](https://gyla.ge/files/rekomendaciebi%20saarCevno%20garemos%20gaumjobesebasTan%20dakavSirebiT_ge.pdf); JOINT OPINION ON THE DRAFT ELECTION CODE OF GEORGIA, Adopted by the Council for Democratic Elections at its 39th meeting (Venice, 15 December 2011) and by the Venice Commission

რეფორმირების განხორციელებისა, რასაც საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს, ცვლილებით მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციის კიდევ უფრო მეტად პოლიტიზირება, ვინაიდან ამ წესმა შექმნა სხვა პარტიებთან შედარებით, მმართველი პარტიის დომინირებული მდგომარეობა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ პროფესიული წევრების შერჩევაში მონაწილეობენ ზემდგომი საარჩევნო ადმინისტრაციები. შესაბამისად, პროფესიული წევრების შერჩევის დროს იქმნება იმის რისკი, რომ დაინიშნონ მმართველი პარტიის მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანები, იმ პირობებში, როდესაც „ქართული ოცნება“ სხვა პარტიებთან შედარებით უფრო მეტი წევრით არის წარმოდგენილი.

მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო დაფინანსების გარდა კვალიფიციურ პარტიებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკუთარი წინასაარჩევნო ხარჯების ანაზღაურების მიღება შეუძლიათ. მათგან განსხვავებით, დამოუკიდებელ კანდიდატებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი კანდიდატების გარდა, სახელმწიფო დაფინანსების მიღების საშუალება არ გააჩნიათ (მაშინაც კი თუ მათი არჩევა ხდება), რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება.<sup>3</sup>

გარდა ამისა, როგორც ზევით აღინიშნა დღეს მოქმედი რეგულაციები პოლიტიკურ პარტიებს უჩენს გაუმართლებელ სტიმულებს შექმნან საარჩევნო ბლოკები იმისთვის, რომ სახელმწიფოსგან დამატებითი სარგებელი მიიღონ. შესაბამისად, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ცვლილებები უნდა შევიდეს არამარტო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში, არამედ ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსში.

## რეკომენდაცია

საარჩევნო ბლოკებთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკებმა უნდა მიიღონ იგივე სარგებელი, რასაც იღებენ არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე პოლიტიკური პარტიები. ამისთვის აუცილებელია, რომ საარჩევნო ბლოკის წესდებით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც:

- საარჩევნო ბლოკის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საარჩევნო კომისიაში დანიშნავს წევრს;
- ისარგებლებს უსასყიდლო სარეკლამო დროით;
- ისარგებლებს საარჩევნო ბლოკის რიგითი ნომრით;

აგრეთვე საარჩევნო ბლოკის წესდებით უნდა განისაზღვროს:

- საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საბაზო დაფინანსების განაწილების წესი;
- ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსების განაწილების წესი;
- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ბლოკში შემავალ პარტიებს შორის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად გამოყოფილი თანხის განაწილების წესი.

უნდა შეიცვალოს საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიების მიერ წევრის დანიშვნის წესი და ამ უფლებით ისარგებლოს ბოლო საერთო პროპორციულ არჩევნებზე საუკეთესო შედეგის მქონე ექვსმა

at its 89th plenary session (Venice, 16-17 December 2011) para 36, 37.

<sup>3</sup> <http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/299306?download=true> 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისია.

საარჩევნო სუბიექტმა. ამასთან, თითო სუბიექტმა თითო წევრი უნდა დანიშნოს. თუ სუბიექტი საარჩევნო ბლოკია, დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს იმ პარტიას, რომელიც ბლოკის წესდებით იქნება განსაზღვრული.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისას საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯები უნდა აუნაზღაურდეს. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, არჩევნების ორივე ტურში გაწეული ხარჯების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად უნდა მიიღოს მის მიერ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მიღებული ხმების არაუმეტეს ორმაგი ოდენობა ლარში. აღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტებმა დაფინანსება უნდა მიიღონ საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების თაობაზე წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენის შემდეგ.

ამასთან, ყველა პოლიტიკური გაერთიანება რომელიც არჩევნებზე მოიპოვებს კვალიფიციურის სტატუსს, უნდა ჰქონდეს უფლება შეინარჩუნოს რიგითი ნომერი მომავალი არჩევნებისთვის. თუ ასეთ სტატუსს ბლოკი მოიპოვებს, მაშინ მისი რიგითი ნომრის განკარგვის უფლება უნდა მიენიჭოს ბლოკის წესდებით განსაზღვრულ ერთ-ერთ წევრ პარტიას, ხოლო ბლოკის შემადგენლობაში მყოფმა სხვა პარტიებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა წილისყრაში. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პარტიებისთვის წილისყრა ჩატარდეს არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30 დღის განმავლობაში.

### **შემოთავაზებული ფორმულირება**

1. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. პარტიების მიერ ცესკოს წევრების დანიშვნისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

1. ცესკოს 6 წევრიდან თითო წევრს ნიშნავენ ბოლო საერთო პროპორციულ არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტები. თუ საარჩევნო სუბიექტი ბლოკია, კომისიის წევრს ნიშნავს ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ბლოკის წესდებით არის განსაზღვრული.

2. თანაბარი შედეგის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა 6-ზე ნაკლები აღმოჩნდა, ამ პუნქტში აღნიშნულ ყველა საარჩევნო სუბიექტს მათი შედეგების შესაბამისად, უფლება აქვს დამატებით დანიშნოს კომისიის კიდევ თითო წევრი კომისიის აღნიშნული წევრების რაოდენობის 6-მდე შესავსებად.

4. პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს თავის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი. გამოწვევა დაუშვებელია არჩევნების დანიშვნის დღიდან მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე. პარტიას უფლება აქვს, აღნიშნული ვადის განმავლობაში ცესკოს ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.“



2. 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი (საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში ამ კანონის 114-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით და 142-ე მუხლის მე-14 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსების მიღების უფლების მქონე კვალიფიციური პარტია) არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით. ის საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო მუნიციპალიტეტების ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3%-ია ან 3%-ზე მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით. საარჩევნო ბლოკის წესდებით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსების განაწილების წესი. ერთი საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი თანხა გაიცემა მხოლოდ ამ საარჩევნო უბანზე დანიშნულ წარმომადგენელზე (წარმომადგენლებზე).”

3. 51-ე მუხლს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> პუნქტი დაემატოს:

“3<sup>1</sup>. ამ მუხლის 5-16 პუნქტების მიზნებისთვის კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტში იგულისხმება უფასო სარეკლამო დროის მიმღები საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც ბოლო საერთო არჩევნებზე მიიღო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან 3%-ზე მეტი. იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიექტი არჩევნებზე ბლოკის სახით იყო წარმოდგენილი, უფასო სარეკლამო დროით ისარგებლებს ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც საარჩევნო ბლოკის წესდებით იყო განსაზღვრული.“

4. 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად. საარჩევნო სუბიექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნებში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3%-ს ან მეტს (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 500 000 ლარს საკრებულოს/მერის არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნების და ადგილობრივი თვითმმართველობის მერის არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, არჩევნების ორივე ტურში გაწეული ხარჯების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს მის მიერ არჩევნებში მონაწილე



ამომრჩეველთა მიღებული ხმების არაუმეტეს ორმაგ ოდენობას ლარში. აღნიშნული საარჩევნო სუბიექტები ასეთ დაფინანსებას მიიღებენ საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების თაობაზე წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ამ კანონის 57-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენის შემდეგ.”.

5. 114-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები:

„ი) საარჩევნო ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ბლოკის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საარჩევნო კომისიაში დანიშნავს წევრს;

კ) საარჩევნო ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ისარგებლებს უსასყიდლო სარეკლამო დროით;

ლ) საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსების განაწილების წესი;

მ) საარჩევნო ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ისარგებლებს საარჩევნო ბლოკის რიგითი ნომრით;

ნ) საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საბაზო დაფინანსების განაწილების წესი;

ო) „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ბლოკში შემავალ პარტიებს შორის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად გამოყოფილი თანხის განაწილების წესი.“.

6. 119-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება აქვს, დაიტოვოს საარჩევნო რიგითი ნომერი მომავალი არჩევნებისთვისაც, თუკი საერთო პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებზე მიიღებს კვალიფიციურის სტატუსს. თუ პოლიტიკური გაერთიანება უარს იტყვის ამ უფლების გამოყენებაზე, მას საარჩევნო რიგითი ნომერი მიენიჭება 119-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტით დადგენილი წესით.

7. 119-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ბოლო საერთო არჩევნებში რიგითი ნომერი მინიჭებული ჰქონდა საარჩევნო ბლოკს, რომელმაც პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მოიპოვა კვალიფიციურის სტატუსი, ამ ნომრის გამოყენების უფლება ეძლევა ბლოკის წესდებით განსაზღვრულ პარტიას.“.

8. 119-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3<sup>1</sup> პუნქტი:

„3<sup>1</sup>. ბლოკის მიერ კვალიფიციურის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში მასში შემავალი პარტიების რიგითი ნომრები განისაზღვრება არჩევნების შეჯამებიდან 30 დღის განმავლობაში გამართული წილისყრის საფუძველზე. წილისყრაში არ მონაწილეობს პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ბლოკის წესდების საფუძველზე მინიჭებული აქვს ბლოკის რიგითი ნომრის გამოყენების უფლება და იგი იყენებს ამ უფლებას.“.

9. 142-ე მუხლის მე-14 პუნქტს დაემტოს შემდეგი შინაარსის „ი“, „კ“ „ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები:

„ი) ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ბლოკის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საარჩევნო კომისიაში დანიშნავს წევრს;

კ) საარჩევნო ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ისარგებლებს უსასყიდლო სარეკლამო დროით;

ლ) საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსების განაწილების წესი;

მ) საარჩევნო ბლოკში შემავალი ის პარტია, რომელიც ისარგებლებს საარჩევნო ბლოკის რიგითი ნომრით;

ნ) საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის საბაზო დაფინანსების განაწილების წესი;

ო) „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ბლოკში შემავალ პარტიებს შორის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად გამოყოფილი თანხის განაწილების წესი.“.